№ 112

სამშაბათი, 10 ივნისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 112

სამშაბათი, 10 ივნისი 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თ. | მან. კ. | თ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| [illegible] | 8 — | 3 | 3 50 |
| 1 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 1 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ამ ნომერთან ხელის-მომწერლებს ეგზავნებათ განცხადება ილია ალხაზიშვილის ახალ წიგნზე: „ბუნება და ცხოვრება".

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი და შინაგანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულება დედ:ნ დათა სქესისა და ბავშვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**. — დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

**ი. ფ. პრიტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. მუგინოვი**. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავად მყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პრიტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. მუგინოვი.** 5—6 საათ' ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისდა ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

## მთავრობის განკარგულებანი

დამტკიცებულ იქმნა თავისისავე თანამდებობაზედ: ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მოენეს თანამდებობის აღმასრულებელი, კოლლეჟსკი სეკრეტარი ბეგიაშვილი.

დანიშნულ იქმნა: სამსახურს გარეშე მყოფი კოლლეჟსკი სეკრეტარი იოსებ სულხანიშვილი სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს შტატს გარეშე მყოფ მოხელედ.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, თავისისავე თხოვნის თანახმად, ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ივანე გომელაური.

# ახალი ამბავი

*** გუშინ, ორშაბათს, 9 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე თავ. ნ. დიასამიძისა და თავ. ვ. თუმანიშვილისა. აქ მოვიყვანთ მხოლოდ განაჩენს ამ საქმის თაობაზე და ხვალ-კი დაწვრილებით დავბეჭდავთ ანგარიშს. აი განაჩენიც: ბრალდებული თავ. ნ. დიასამიძე ცნობილ იქმნას რა დამნაშავედ, რომ 20 მაისს, 1896 წელს, განრისხების დროს მსუბუქად დასჭრა თავში თავ. ვასილი მიხეილის ძე თუმანიშვილი, ხოლო განრისხებული იყო იმ შენიშვნისა გამო, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „ახალ მიმოხილვის" 1896 წლის მე-4253 №-ში და შეეხებოდა ბრალდებულს, დაპატიმრებულ იქმნას იგი შვიდის დღით სამხედრო ჰაუპტვახტში.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის გორში ყოფნის დროს ციხის ძირში მცხოვრებთ თხოვნა წარუდგენიათ მთავარმართებლისათვის, თუ შეიძლება ქალაქის თვით-მმართველობამ ჩამონგრეულს ციხის კედლებს ყურადღება მიაქციოსო და ქუჩაში ფარნები მოუმატოსო. იმავე დროს „წმინდა წყლის" მცხოვრებთ უთხოვნიათ, ცხენოსანთ ჯართა საჯინიბოების მახლობლად რომ თავისუფალი მიწაა, ნება მოგვეცით იქ სახლები ავაგოთო.

*** კავკასიის დედათა ინსტიტუტის მოსწავლე ქალნი საზაფხულოდ 20 ივნისს წავლენ კოჯორში.

*** მომავალ 1898 წლისათვის სხვა-და-სხვა გადამდებ სენთან საბრძოლველად კავკასიაში 38,100 მან. აღრიცხული. ეს ფული კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციას ექმნება და მისგანვე იქმნება დამოკიდებული, როგორ მოახმარ-ს აღნიშნული ფული ჩვენის მხარის საჭიროებას.

*** კავკასიის დედათა ინსტიტუტში თავისუფალს ადგილზედ 4-ს ამ თიბათვისას ალექსანდრე ყარანგოზიშვილის ასული იქმნა მიღებული.

*** ტფილისის გუბერნიის მმართველობას ფინანსთა მინისტრისაგან ბრძანება მიუღია, რათა ქალაქის მკვიდრნი გაანთავისუფლონ 1898 წელს ხარჯისაგან და უძრავ მამულებზედ ახალი სახელმწიფო ხარჯი გაანაწილონ. 134 ათასი მანეთი ქალაქ ტფილისსა, თელავსა, სიღნაღსა, გორსა, ზაქათალასა, ახალ-ციხესა, ახალქალაქსა და კოჯორს შორის იქმნება განაწილებული.

*** რადგან კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი უგანათლებულესი თავ. პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი სამსახურისა გამო მიემგზავრება განჯის გუბერნიაში, ამიტომ წლიური კრება ამ „საზოგადოებისა" მოხდება მისი დაბრუნების შემდეგ, შემოდგომაზედ.

*** ეხლა-ხან გარდაცვალებულის დეისტ. სტატ. სოვეტნიკის ა. ს. გამრეკელის მაგიერად ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა მმართველად დაუნიშნავთ ბ-ნი სელივანოვი, რომელსაც ასეთივე ალაგი ეჭირა ყუბანის ოლქში.

*** ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიაში წრეულ სულ 27-მა ყმაწვილმა დაამთავრა სწავლა. ამათში 9 რუსია 2 ქართველი, 13 სომეხი, 1 პოლონელი, 1 გერმანელი და ერთიც ებრაელი. ქართველთაგან სწავლა დაამთავრეს კონსტ. ანდრონიკაშვილმა და იაკობ მეფისაშვილმა.

*** კავკავის ქალაქის თავს ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობამ ის პასუხი თურმე გაუგზავნა, რომ კავკაველებს საზოგადოება ფულით ვერ დაეხმარებათ, რადგანაც პოლიტეხნიკუმის გახსნა ტფილისის საბჭოსაცა აქვს განზრახული და საზოგადოების გამგეობა-კი უფრო ვალდებულად სთვლის თავს ტფილისს დაეხმაროს ამ საქმეში, ვიდრე კავკავსაო.

*** კავკასიის რკინის გზაზედ ბათუმიდგან ბაქომდე მესამე კლასის მგზავრთა სატარებლად ახალი, მეტად მოხერხებული ვაგონები შემოიღეს. ეს ვაგონები თითქმის ერთიორად დიდებია და მაღლები, თითოეულის მგზავრისათვის, რომელსაც-კი საჯდომი ადგილი აქვს, საძილოც აქვს. ერთის სიტყვით, ბევრად უკეთესია, ვიდრე ძველი ვაგონები. ასეთი ვაგონები მთელს რუსეთში მხოლოდ კავკასიის რკინის გზასა აქვს და არაფრით განირჩევა მეორე კლასის ვაგონებიდგან, იმის გარდა, რომ საჯდომსა და საძილო ადგილებს არა აქვს-რა გადაკრული.

*** წრეულს წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 35 ქალმა, მათს შორის 19 რუსია, 9 ქართველი, 5 სომეხი, 1 გერმანე-

# ფელეტონი

—

## ნაწყვეტი

—

სული და გული შევაწყე
შენსა სულსა და გულსაო,
მიყვარხარ, მაგრამ არ ვაჩენ
იმ გრძნობას დაფარულსაო...
სიკვდილიც ველარ მომიკლავს
მე შენსა სიყვარულსაო,
შენ აღმოგირჩევ საქმროდა
საფლავშიც დამარხულსაო!..

დ. მაჩხანელი

## ზურაბის კოშკი [1])

(პატარა სურათი თუშების ცხოვრებიდგან).

თუშები, ეს მუჭა ხალხი, რამდენისამე საუკუნის განმავლობაში მედგრად ებრძოდა სამ მხრივ შემორტყმულ, მიუძინებელ მტერს, [2]) იმ მტერს, რომელიც არა ერთხელ შემოჰსევია მთელ კახეთს. ამ ხალხის წარსული ცხოვრება წარმოადგენს განუწყვეტელ სისხლის ღვრას. თითქმის არ მოიპოვება მთელს თუშეთში იმისთანა ალაგი, რომელიც არ იყოს მორწყული თუშების სისხლით ყოველი მთის ქედი, კალთა, ხევი, და თითქმის ქვა, ბუჩქიც მოაგონებს თუშს რომელსამე წარსულს ბრძოლას ურჯულოებთან. ბრძოლასთან ერთად იგი იგონებს იმ მისთვის დაუვიწყარს გმირებს, რომელნიც ღირსეულად დაიხოცნენ რჯულისა და თავისუფლების დაცვაში. ამ გმირების სახელები თუმცა წიგნის ფურცლებზედ არა სწერია, მაგრამ სამაგიეროდ, ღრმად არის ჩაჭდეული თვით იმ ხალხის გულში, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ. მათ ატარებს გულში ყოველი თუში, როგორც ძვირფასს განძს. გმირები იხსენებიან სიმღერებში, რომელნიც ნაღვლიანად გაისმის მთის მწვანე კალთებზედ მეცხვარე თუშისაგან.

აი ერთი პატარა სურათი, ამოღებული თვით თუშების ცხოვრებიდგან და იქნება ოდნავ მაინც წარმოიდგინოს მკითხველმა ის საშინელი განწირული ცხოვრება, რომელიც მიუძინებელ, გარ შემორტყმულ მტრის მეოხებით ჰქონდათ თუშებს, როგორც საზოგადოდ სხვა თანამოძმე ქართველობას!—

—

პირ-იქით თუშეთში მდებარეობს სოფელი ჰელო, რომელიც არწივის ბუდესავით მიკრულა ერთის მთის კალთაზედ და ამაყად გადაჰყურებს ძირს უფრსკულში მიმდინარე პირ-იქით ალაზანს. ეს ალაზანი იღებს წყალს ნარივნის მთებიდგან და ერთვის მარცხნივ ანდაქის ყოისუს, რომელიც შეადგენს დაღესტნის უმთავრესს მდინარეს, სულაქის მარცხენა ტოტს.

ჰელო, ერთ დროს დიდი, აშენებული სოფელი, ეხლა პატარა სოფელია. მისი პიტალო სიპის ქვით აგებული სახლები და კოშკები შორიდგან რაღაც პატარა სიმაგრეს წარმოადგენენ.

მარიამობის თვე იყო. მზე გადახრილიყო და მისუსტებული მისი სხივები მკრთალად ანათებდა თოვლით მოსილ პირ-იქით თუშეთის მთის წვერებს, რომელთაც შერის ნისლით მოსილი ტებული [4]) წვერი რაღაც საშიშ საიდუმლოს წარმოუდგენდა კაცს. იმ დღეს, რა დღეზედაც ჩვენ გვაქვს ლაპარაკი, მთის კალთებზედ ჰელოს მიდამოს აღარა სჩანდა თეთრად გაშლილი ცხვრის ფარა, აღარც ისმოდა გულ-მომაკვდავი ღუღუნი მწყემსის სალამურისა და მასთან მოტირალი სიმღერის ხმა ბედისაგან დაჩაგრულ მწყემსისა. ამ მყუდროებას არღვევდა მხოლოდ მუდმივ მჩქეფარე ჩხატეში და მას ბანს აძლევდა ხევების უფსკრულიდგან მოღრიალე მდინარენი.

არავინ არა სჩანდა ვაჟთაგანი სოფელში. არც ხმაურობა ისმოდა; ხანდა-ხან თუ დაიყეფებდა ქოფაკი, რომლის ხმას ბანს აძლევდნენ კლდე ღრეები. რას მოეფინა ეს სიჩუმე? რა იყო მიზეზი, რომ ასე გაჩუმებულან ეს სიცოცხლით სავსე ჰელოელები?

სოფლის ბოლოს ერთ დაცემულ ვაკეზედ შეყრილიყვნენ ჰელოელები და სჯა ჰქონდათ, თუ როგორ დახვედროდნენ აუარებელს ლეკის ჯარს, რომელიც ცეცხლით და მახვილით მოულოდნელად შემოსეოდა თუშეთს, აეოხრებინა ორი სოფელი და მიწასთან გასწორებას უქადდა ჰელოს.

— თუშებო, წამოიძახა მღელვარე ხმით ახალგაზდა თუშმა, რომელიც ის იყო მოსულიყო ერთ იმ ლეკებისაგან აოხრებულ სოფლიდგან. თუშეთი დაეცა, წამურტლეს ჩვენი სალოცავები, რჯული, დაღესტნის ყმები გავხდით, ისე ააოხრეს იმ ლორებმა ორი სოფელი, რომ ერთი სახლის კედელი აღარ დარჩენილა მთელი, ხალხი უწყალოდ ამოწყდა, დიაცებს ნამუსი აჰხადეს. დიაცყმაწვილების კივილი: „გვიშველეთ, გვიშველეთ, სადა ხართო!" ეხლაც ყურში მესმის.

— გულმა როგორ გაგიძლო და წამოხვედი, ვაჟო, როდესაც უკანიდგან დიაცნი გიყვიროდნენ და გთხოვდნენ შველას, რატომ არ ჩაერიე და არ ჩაჰკაფე ის ურჯულო დუმის მჭამლები, — გააწყვეტინა ერთმა, რომელიც ხალხის ნაპირას კოხტად გვერდზედ ნაბად მოქცეული, მარჯვენა მხარზედ გადაკიდებულ ტიტველ ხირიმით [5]) იდგა. ამ სიტყვებზედ მის გმირულს მოწითურ, წარბ-შეჯმუხნულს სახეს შეეტყო აღელვება და მისი დიდრონი შავი თვალები მოლაპარაკე თუშს მიაჩერდნენ.

— განა არ ჩავერივე, მიქელო, — თითქო წყენით უპასუხა მოსულმა, მაგრამ ყოჯამ შემაყენა, მითხრა ვერას უშველი, თავს უბრალოდ ნუ ახდენ, წადი შეატყობინე ჰელოელებს, მოემზადნენ მტრის დასახვედრადაო. რა მექნა, მეც წამოვედი მკვდარ-გული შესატყობლად.

[1]) ეს ამბავი ერთის მოხუცის თუშის ნაამბობია.

[2]) ქისტი, ლეკი და დიდო.

[4]) ტებული შეადგენს აღმოსავლეთ კავკასიონის ქედის უმაღლესს წვერს, რადდეს გამოკვლევით 15,000 ფ. აღემატება.

[5]) თოფი.

ლი და 1 პოლონელი. აღვნიშნავთ ქართველების გვარებს: გურგენიძე ვერა, ელენე თავადის თარხნიშვილის ასული, თავადის სიდამონ ერისთავის ასული სოფიო, ნინო ამილახვრისა, ყიფიანისა ბარბარე, რცხილაძისა ნინო, სიმონიშვილისა ნადეჟდა, ნინო თავადის ბარათაშვილის ასული, ჩიკვაიძისა გაიანე; ამათს შორის ოქროს ჯვრები მიიღეს: ელენე თარხნიშვილისამა და ვერა გურგენიძისამ; ვერცხლის ჯვარი—სიდამონ-ერისთვის ასულმა. სწავლის დამთავრების მოწმობა მიეცათ: ნინო ამილახვრისას, ბარბარე ყიფიანისას, ნინო რცხილაძისას, ნადეჟდა სიმონაშვილისას, ნინო ბარათაშვილისასა და გაიანე ჩიკოიძისას.

*** ჩვენ მივიღეთ „ახალის მკითხველის“ მეორე გამოცემული წიგნი „შრომა და კაპიტალი“, თარგმანი ვ-სა. წიგნი ლამაზად და სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 62 გვერდს და ჰღირს 20 კაპ.

*** როგორც ქიათურიდგან იუწყებიან, იქაური მცხოვრებლები ამ წელს მეტად შეწუხებულნი არიან თურმე კავკასიის რკინის გზის გამგეობის მიერ დაწესებულის ახალის სამგზავრო წეს-რიგით. უწინ ტფილისიდგან, თუ ბათუმიდამ მიმავალ ვგზავრთ სადგ. შორაპანში $1/2$ საათზედ მეტი ცდა არ უხდებოდათ თურმე, რადგანაც შორაპნიდამ მიმავალ მატარებლების დროსთან იყო შეთანხმებული კავკასიის რკინის გზის მატარებელთა მიმოსვლა. ახლა-კი 3—4 საათს იცდის მგზავრი ხსენებულს სადგურზედ, რაიცა, ეჭვი არ არის, მეტად უხერხულია. ამისათვის ქიათურელები სთხოვენ რკინის გზის გამგეობას, ხსენებული უხერხულობა როგორმე თავიდგან იქმნას აცილებული.

*** ჭიათურა. მაისის დამლევს მომხდარ შავის ქვის მწარმოებელთა კრების წარმომადგენელთ შუამდგომლობა დაიწყეს ჯეროვანის მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ქიათურიდგან გატანილს შავს ქვაზედ ტარიფი შემცირებულ იქმნას ფუთზედ ორის შაურიდგან 3 კაპეიკამდე. ამის მიზეზად კრების წარმომადგენელთ ის გარემოება მოჰყავდათ, რომ შავის ქვის ფასმა მეტად ძირს დაიწია. რკინის გზათა დეპარტამენტს ახლა კავკასიის რკინის გზის გამგეობისათვის პასუხი მოუთხოვნია, თქვენი აზრი გვაცნობეთ, რამდენად სამართლიანია და ჯეროვანი ასეთი თხოვნაო.

*** ამ დღეებში კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების რამდენიმე წევრს თათ'ირი ჰქონდათ იმის შესახებ, რომ ამ შემოდგომას ტფილისში თამბაქოს მომყვანთა კრება მოახდინონ. ამ კრებაზედ 200 მდე მეთამბაქოეს მოწვევას აპირებენ კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან.

*** წელს ტფილისის სამოქალაქო ფერშლის სასწავლებელში სწავლა დაამთავრეს და მიიღეს დიპლომი მედიცინის ფერშლისა პირველ ხარისხით ვლადიმერ ნაცვალაძემ, მეორე ხარისხით ალექსი ერმოლოვმა, ვასილ ხასაიამ, ივანე ბოკერიამ, მიხეილ ბოგდანოვმა, ს. ჩუმაროვმა, სიმონ კვირკველიძემ, ელისე კალანდაძემ და ნიკოლოოზ არხიპოვმა. პირველმა ექვსმა გაათავეს სწავლა სახელმწიფო ხარჯით და დანარჩენებმა-კი თავისის ხარჯით.

*** მთის ოსები (კავკავის მაზრა). ორ სოფელში, მაგალითებრ, ნამებასა და დალაგყავში სახადმა იჩინა თავი. სახადი საკმაო ზარალს აძლევს ხალხს. მაზრის ექიმი მოვიდა, დაათვალიერა ავადმყოფები და ისევ მალე დაბრუნდა უკან. საჭიროა, რომ სანამ სხვა სოფლებშიაც არ გადასულა ეს სენი, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და მის წინაამდეგ საშუალება რამ იღონონ.

*** ს. ომისი: გადამდები ავადმყოფობით აქ კიდევ გარდაიცვალა 5 თიბათვეს მტრედიშვილის ბიჭი 12 წლისა. ჩვენი საქმე სწორედ საოცარია, გულ-ცივად გვიყურებენ ექიმიც და ყველაც, ვისაც-კი შველა შეუძლიან. არვიცით, გამორიცხულნი ვართ საამსოფლიო ქვეყნიდგან, თუ რა არის!.. ჩვენში ეხლა საქონლის ავადმყოფობა გაჩნდა: სხვილფეხი და წვრილფეხი საქონელი კუტადა ჰყრია, ჩლიქები უსივდებათ, პირიდგან ქაფი სდით და ჭამით ველარასა სჭამენ. გვიცდება გუთანი, სხვა-და-სხვა საქმე მეტად უკანა გვრჩება უსაქონლობის გამო. ნეტავი ამ საქმეში მაინც გვიშველიდეს ვინმე, რომ საქონლის სენი არ გავრცელდეს და არ დავილუპნეთ. მაგრამ ადამიანებს რომ არავინ გვშველის, პირუტყვს ვინ მიეშველება!..

*** რაჭის მაზრის, ს. ფარახეთის მცხოვრები ფილიპე ივანეს ძე ერამე, რომელსაც ქუთაისის ოლქის სასამართლომ ციმბირში გაგზავნა გარდაუწყვეტა, გამოქცეულა და ამ ბოლო ხანებში ყარსის რკინის გზაზედ თურმე ჰმუშაობდა იჯარადარ ინჟენერ ბელობოროდოვთან. აქ ადგილობრივს ჟანდარმს ხვოიკოს ცნობები თურმე მოუვიდა ერამეს შესახებ და შეიპყრო. ერამე მაშინვე ბორჩალოს პოლიციას გადასცეს, მაგრამ როდესაც რაჭის მაზრაში მიჰყავდათ, სკანდარის ხიდთან კვლავ უგდია დრო და გაქცეულა.

## წერილი თელავიდგან

ყველა ქალაქი სცდილობს გამდიდრებას, გაზრდას, გავრცელებას და ამისათვის თუ მდებარეობით საკმარისი პირობები არა აქვს, ყოველს ღონისძიებას ჰხმარობს შექმნას იმისთანა პირობანი, რომელნიც სიცოცხლეს გაადვილებენ, აღებ-მიცემობას გაამდიერებენ და ყველა ამასთან მოქალაქობრივ ცხოვრებას გასწრთვნიან, გაასუპტავებენ.

ზემო კახეთის დედა ქალაქი თელავი თავის-თავად მდიდარია მრავალის მხრივ და, თუ პატრონობა კარგი გაუწიეს, ორასამს წელიწადზედ ერთი-ორად იქცევა. მარტო გეოგრაფიული მდებარეობა თელავისა, მისი სიმდიდრე უთვალავის ანკარა წყაროებით, მცენარეულობით, რომელიც ერთ დიდ ბაღადა ჰხდის თელავს, ჰაერის ზომიერის სიგრილით და სიმშრალით თითქო განგებისაგან საავადმყოფო ადგილად არის იგი დანიშნული, თითქო ზოგიერთ ავადმყოფობის სამკურნალო ადგილად უნდა იყოს ჩათვლილი. ამის მიუხედავად, აქ საავადმყოდ ძალიან ცოტანი მოდიან. რა არის ამისი მიზეზი? მთავარ მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ თელავში არავითარი გასართობი არა არის-რა. ეს მშვენიერი მდებარეობა მოკლებულია სასეირო ადგილსაც კი, თუ არ ჩავთვლით მეტად მცირე ბაღს, რომელიც ზაფხულობით რამდენისამე კაცის მტვერით მიწის ფრად შეიღებება ხოლმე. თელავში სდგას „დრუჟინა“, რომელსაც მუსიკა ჰყავს. დღევანდლამდის თვით მართველობამ ვერ მოაწყო საქმე ისე, რომ ამ მუსიკით ესარგებლნა. ამიტომ აქ მოსულები გაჭირვებულნი არიან და ან კარ-გამოკეტილში სხედან და ან მიდიან შორს ტყეში, ისიც საძაგელის გზით, სულის მოსაბრუნებლად. ტყე ვერ დააკმაყოფილებს ბავშვებიან სახლობას, რადგანაც ბავშვებს ტყეში თამაშობის გამართვა არ შეუძლიანთ. არის ერთი ადგილი—ნადიკვარი, რომელიც ვერმო საკუთრებას შეადგენს და რომელზედაც სეირნობენ, თუ პატრონმა ნება დართო, მაგრამ ეს არც მუდმივია და არც საუკეთესო.

თუ თვით-მართველობას თვისი სიკეთე „მე“-ს ფარგალში არა აქვს მომწყვდეული, თუ იგი თელავისათვის ზრუნვას არ არის მოკლებული, თუ შეგნებული აქვს ცოტად მაინც ცხოვრების მოთხოვნილებანი, ახლავე უნდა შეუდგეს განკარგების გზას. დაიწყოს იმით, რომ გაუკეთოს ქალაქს სასეირნო ადგილი და იქვე ბავშვებისათვის გაჰმართოს სათამაშო მოედნები. ეს მოედნება მოაწყოს სათამაშოებით. ამისათვის თელავისთანა ადგილები, ველები, არც ერთ ქალაქს არა აქვს. ავიღოთ თელავის სამხრეთით მდებარე, ესრედ წოდებული, საძოვარი ადგილები. ეს სამოვრები თელავზედ მაღლაა და ქალაქს ზედ დაჰყურებს, იქვე არის მშვენიერი წყარო. საჭიროა მხოლოდ ეს ადგილი გაიწმინდოს ჯაგებისაგან, ჩაიყაროს რიგზედ ხეები და გასწორდეს ადგილი სათამაშო მოედნებად. ამასთან ერთ ერთი ქუჩა, იქით მიმავალი, განკარგდეს. პირველად სულ სიგრძით 1 ვერსზედ და სიგანით 200 საჟ. მოთავსდება ყველაფერი. თუ თვით მართველობა იტყვის, ფული არა გვაქვსო, ეს მხოლოდ დოს მარილის ნაკლებობაზედ იქმნება ლაპარაკი. ეს ისეთი საქმეა, რომელიც ქალაქს ჯერ მარტო აგარაკად მოსულებისაგან შეჰმატებს ერთს წელიწადს იმდენს, რაც ზედ დაეხარჯება. სულაც თელავი გაიწერს ამისათვის საკმაო ფულს, იმდენად არის ეს ქალაქისათვის საჭირო და მიუცილებელი.

თვით მართველობას კარგად უნდა ესმოდეს, რომ „წარვიდნენ დღენი ლხენისა“, ის წყარო, რომელი წყაროც ასაზრდოებდა თელავის ვაჭრობას, თითქმის, დაშრობაზეა. მთელი მაზრა დაკალიანებულია, ცხოვრება გაჭირებულია, საჭიროა ბაზრისათვის შემძლებელის ოჯახების შემოჩვევა და უკანასკნელთათვის კიდევ საჭიროა თელავში ცხოვრების პირობათა ისე მოწყობა, როგორც შემძლებელს ოჯახებს მოსწონთ.

ნურავინ იფიქრებს, რავი რკინის გზით არ არის თელავი ტფილისთან შეერთებული, არავინ მოვაო. რასაკვირველია, რკინის გზა კარგი ღვთის წყალობაა, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ გომბორის გზა-ტკეცილს თვისი განსაკუთრებული მიმზიდველობა აქვს. ამ გზაზედ მოსიარულეს არ მოსწყინდება პანორამასავით ცვალებადი სურათები, რომლებიც ასეთის სისწრაფით სცვლის ერთი მეორეს წინააღმდეგ. მე ბევრის ახლად მოსულისაგან გამიგონია, ნეტავი გომბორზედ დილიჟნები ისე ჩქარა არ დადიოდნენო. ბუნებრივ გზის სიმშვენიერეს არ შეიძ-

— გეყოფათ, ვაჟებო,—გააწყვეტინა ერთმა მოხუცმა, რომელიც სხვა ხნიერ კაცებთან იჯდა ხალხის შუა. რაც იყო, იყო. ეხლა მომავალზედ უნდა ვიფიქროთ, როგორმე უნდა დაუხვდეთ მტერს. მტერი ახლოა, შეიძლება ამავე ღამეს დაგვეცეს, თუ ღამე არა, ხვალ გათენებისას უეჭველად ჩვენი სტუმრები იქნებიან და უნდა ვეცადნეთ ღირსეული მასპინძლობა გავუწიოთ.

— მოვიდნენ, მოვიდნენ, ის დაღესტნის ღორები, და ჩვენ მამა-პაპის საფლავზედ შეფიცებულნი აქ დაუხვდებით,—წამოიძახა და გაფითრებულმა მიქელმა და მთრთოლვარე ხელი ხანჯლის ტარს მოავლო.

— მოვიდნენ, მოვიდნენ!—დაიგრიალა ხალხმა და ყოველ სახეზედ ამოიკითხავდა კაცი იმათს გულის პასუხს: „ან სიკვდილი გმირული, ან თავისუფლება“.

— დღეს ისეთი დღე დაგვიდგა, თუშებო,—განაგრძო მოხუცმა, რომ ან უნდა დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, რჯული, რომლის დაცვაშიაც ჩვენი წინაპარნი უკანასკნელს წვეთს სისხლს არა ჰზოგავდნენ, ან არა-და, დავიხოცნეთ ისე, რომ პირ-ნათლად მივიდეთ სულეთს [6]) წინაპრებთან, რომ მათ არ დაგვაყვედრონ ლაჩრობა. ვაჟკაცმა არ უნდა უჩვენოს მტერს ზურგი, ვაჟებო, დიდი სირცხვილია. ჩვენ წინაპრებს ბრძოლიდგან გაქცეული კაცი ეზიზღებოდათ, როგორც გველი, დედაკაცნი პირში აფურთხებდნენ, ბალღები როგორც ცოფიანს ძაღლს, ქვებს ესროდნენ. მას აღარ შეეძლო ვაჟკაცებში გარევა. ყოველგან, ყოველს სახლში კარებს უკეტავდნენ. მტრისგან გაქცეულ კაცს არც-კი ჰმარხავდნენ. იგი საფლავ-მოკლებული ეგდო უპატრონოდ მინდორში და ყოველი გამვლელ-გამომვლელი ზიზღით უყურებდა და სწყევლიდა იმის გაჩენის დღეს. დიაცები ირთავდნენ ვაჟებს, მხოლოდ „ბასრის ხლმის ამომღებელსა, სულ უწინ ომში ჩამსვლელსა, სახელის შინ მომტანელსა!“ და ნუ თუ, ხალხნო, ჩვენ იმ გმირების შვილნი არა ვართ? ნუ თუ უნდა შევარცხვინოთ მათი სახელი, რომელთაც ბრძოლის ველზედ სიკვდილი სიხარულად მიაჩნდათ?!.

— წყეული იყოს ჩვენგანი, ვინც მტერს ზურგი უჩვენოს!—შეჰბღავლა ერთხმად მთელმა ხალხმა.

— მაშ ეგრე, ვაჟებო, ეგრე, სთქვა გახარებულმა მოხუცმა, არა უშავსრა, ბევრი ამისთანა დრო უნახავს თუშეთს, მაგრამ იგი ეხლაც ამაყად ქედ-მოუდრეკლად გადაჰყურებს თავისს მიუძინებელ მტერს—დაღესტანს და მისმა შვილებმა არ იციან ჯერ, თუ რა არის მტრის უღელი.

— იმედია, არც ეხლა მოუხრით ქედს ურჯულოებს, ფუნჩო. ჩვენი ბასრი ხმალი ეხლაც გაიელვებს ძველებურად მტრის თავზე. ყველანი, ვისაც აქა ჰხედავ, წვეთ-წვეთად დაჰღვრიან სისხლს საყვარელ მთებისათვის.

ამ სიტყვებთან მოლაპარაკემ გადაჰხედა მიქელს და თვალებში ელვამ დაუარა. გასწორდა ცოტა წელში, გაიშვირა ხელი მიქელისკენ და აღელვებით განაგრძო:

— აი, ამ ერთს ღვიძლს შვილს შევცქერი. ამით მიდგა სული, ამით დავიარები ქვეყანაზედ ცოცხალი, ამით ვარ ბედნიერი უფრო იმისათვის, რომ შემიძლიან კიდევ ვემსახურო საყვარელ მთებს. წავიდეს, დაუხვდეს მტერს, ან გამარჯვებული გნახო და ან შეაკვდეს მტერს ხლმით ხელში ძ გაახაროს სიკვდილის დროს თავისი დაუძლურებული მამა. და თუ მტერს ზურგი უჩვენა—, მაშინ ჩემი ხელით მოვუღებ ბოლოს და გადვუგდებ ძაღლებს შესაჭმელად, ჩემ სახელს არ შევარცხვენინებ.

ასე ლაპარაკობდა მიქელის მამა ზურაბი, კაცი ჭაღარისაგან მთლად გათეთრებული და სიბერისაგან წელში მოხრილი. ზურაბი დიდი ვაჟკაცი, ჭკვიანი და პატიოსანი კაცი იყო. არამც თუ ჰელელები, არამედ მთელი პირ-იქითი თუშეთი პატივსა სცემდა იმას, რომლის ვაჟკაცობა დაღესტანსა და ქისტეთში გავარდნილი იყო. იმისის კოშკის კედლებს ამშვენებდნენ მის მიერ დახოცილ მტრის მარჯვენა ხელები [7]). ზურაბის ვაჟკაცობის შესხმა გაისმოდა სიმღერებში და აი ეხლა, ამ გაჭირვებულს დროს, ეს პატიოსანი მოხუცი იდგა და გმირულ სიტყვებით ამხნევებდა თანამოძმეებს მტერთან საბრძოლველად.

— შენი შვილი მხდალი როგორ იქნება, ზურაბო, შენ ხელში გაზრდილი, სთქვა ფუნჩამ, რომელიც აქამდის მოწიწებით ყურს უგდებდა ზურაბს, როგორც უფრო ბევრს რამეებში გაწვრთნილსა და გავლენიანს კაცს.

— მართალია, დაუხვდებით, არ შეუშინდებით, მცირე ფიქრის შემდეგ დაიწყო ზურაბმა, მაგრამ რას გავაწყობთ ერთის სოფლის მუჭა ხალხი აუარებელ ლეკის ჯართან. რაც უნდა ვაჟკაცურად დაუხვდეთ, მაინც სიმრავლით გაგვჟლეტავენ.

— მაშ რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, გვითხარი, ზურაბ, ჭკვიანი და გამოცდილი კაცი ხარ. დიაღ, ხომ ბევრი ამისთანა ვარამი დრო გამოგივლია. შენ გვითხარი, დაგვარიგე და ასრულება ჩვენ მოგვანდე, ჩვენს კისერზედ იყოს, წამოიძახა რამდენმამე.

— სჯობია გავგზავნოთ კაცები, ურჩია ზურაბმა, წოვა-ჩაღ-მეთს [8]) შევატყობინოთ მტრის შემოსევა. ერთნი ვართ და ერთად უნდა გავცეთ პასუხი მტერს, თორემ თითო-თითოდ ვერას გავაწყობთ, დაგვამარცხებენ და მარცხს ხალხის უწყალო ჟლეტა და რბევა მოჰყვება.

— თუშეთი კარებია ქართლ-კახეთისა, თუშებო, განაგრძო მცირე სიჩუმის შემდეგ ზურაბმა, და იმისი გასაღები ჩვენთვის ჩაუბარებიათ საქართველოს მეფეებს. ჩვენნი წინაპარნი თავ-გადადებით იცავდნენ ამ კარებს და ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგავს მტერს ქართლ-კახეთისაკენ და ეხლა, თუ ღმერთი გაგვიწყრა და ვერ გავიმაგრეთ, მაშინ დაღესტანი, ჩაჩანი გზას გაიღებს და თარეშობით აიკლებს საქართველოს. მაშ შევატყობინოთ წოვებს, ჩაღ-

[6]) საიქიო.

[7]) ჩვეულებადა ჰქონდათ თუშებს, როდესაც მტერს მოჰკლავდნენ, მოსჭრიდნენ მარჯვენა ხელს და სახლის კედელზედ ჩამოჰკიდებდნენ (трофей).

[8]) თემები.

ლებს არ დაუმატოთ ისიც, რომ რაც გომბორის გზის ზედამხედველობა თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის ხელში გადავიდა, უნაკლულოდ ინახება გზა. დიდი ყურადღება არის მიქცეული ყველა იმ ადგილზედ, სადაც მალ-მალე ფუჩდება გზა.

საშიროა თელავის ბაზარმა შეიგნოს, რომ სააგარაკოდ მოსულები სურსათის უვარგისობით და ფასის უკიდურებამდის აწევით-კი არ უნდა დააფრთხოს, არამედ უნდა სცდილობდეს სურსათიც კარგი თვისებისა იქონიოს, ფასიც შესაძლებლად დასწიოს, რომ ერთხელ მოსული მეორედაც მოვიდეს და სხვასაც ურჩიოს აქ ზაფხულის გატარება. ბევრის მოსულისაგან გამიგონია „კახეთის დედა ქალაქში ვერც კარგი ღვინო გვიშოვია და უხეიროც ძალიან ძვირად იყიდება. ნუთუ თელავში ღვინოც კარგი არ უნდა იშოებოდეს და იეფიც არ უნდა იყოს სხვა ქალაქებზედ?“ ამ საჩივარს სიმართლე აქვს და იგი წარმოსდგება ბაზრის მომავალზედ უფიქრელობისაგან. რაკი დღეს ჩაიგდებენ ხამს მყიდველს და მაატყუებენ, აქაურ ვაჭრებს ჰგონიათ, ხშირად გამდიდრდებაო. ის კი არ იცის, რომ მოტყუებული ათასს სხვას აფრთხილებს და თვითონაც ნანაჯოგად გადიკარგება თელავის მაზრიდგან.

თვით მართველობამ საზოგადო წიგნთ საცავს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. უნდა დაიჯეროს, რომ უწიგნთ საცავო ქალაქში დიდობის მეტი არავინ მოვა. წიგნთ საცავის რიგიანად მოწყობა იგივე საშუალებაა, რომელიც მოიზიდავს მოაგარაკეთა და სხვებსაც.

მაშასადამე, თვით-მართველობამ ჯერ-ჯერობით დაუყოვნებლივ უნდა იზრუნოს: 1) სასეირნო ბაღისა და სათამაშო მოედნების გამართვისათვის; 2) საზოგადო წიგნთ საცავის განკარგებისათვის, რის შესახებაც ზედამხედველ კომიტეტისაგან რამდენი ხანია თხოვნაა შეტანილი და აქამდის ყურიც არ გაუბერტყია და 3) სამხედრო მუსიკის დაქირავებისათვის, თუ არ უნდა, რომ თელავი უბრალო დაბად გადაიქცეს და ქალაქის სახელს ტყუილად ატარებდეს.

ნადიკვრელი

## რუსეთი

— ქალთა მომავალ სამკურნალო ინსტიტუტში სწავლა დამთავრებულს რუსის ქალებს(?) სასამართლოს ექსპერტების უფლება მიეცემათ. ამისათვის ხსენებულს ინსტიტუტში სასამართლო მედიცინის ლექციების კითხვა იქმნება გამართული ისევე, როგორც უნივერსიტეტებში კითხულობენ სამკურნალო ფაკულტეტზედ.

— გაზ. „მიროვ. ოტგოლოსკი“-ს სიტყვით, ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად იმ ს პროექტის შემუშავებას შესდგომიან, რომ ყველა აფთიაქები ხაზინას გარდაეცეს. ამ პროექტის შესამუშავებლად ცალკე კომისია უნდა შესდგეს თურმე. კომისიაში სამკურნალო დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელნი მიიღებენ მონაწილეობასაო.

— როგორც გაზ. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ნ. ა. დინგელშტედტი გამოუგზავნია კავკასიაში, რომ გამოიკვლიოს, რა ნაყოფი მოუტანია, ეგრედ წოდებულს, წყალთა და მდინარეთა მმართველ გამგეობას, რომელიც წყალით სარგებლობის საქმის განსაკარგებლად იქმნა შემოღებული. ეს დაწესებულება უკვე ექვსი წელიწადია შემოღებულია კავკასიაში.

— ს.-პეტერბურგის სამეურნეო ქიმიური ლაბორატორია სატყეო ინსტიტუტის შენობაში იქმნება გამართული.

— როგორც გაზ. „ს.-პეტერბურგსკი ვედომოსტი“-ს შეუტყვია, გზათა სამინისტროს გარდაუწყვეტია საზღვრებზედ არსებულს სადგურებში აგენტებ-მთარგმნელების ახალი თანამდებობა დააწესოს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს მიუწერია გუბერნატორებისათვის, გვაცნობეთ რამოდენი ზარალი მოუვათ ქალაქებს იმის გამო, რომ სასმელების გასყიდვა სახელმწიფო ხაზინას გარდაეცაო.

## უცხოეთი

**მაკედონია.** გაზ. „მაკედონია“-ში შემდეგი წერილია დაბეჭდილი: „ეხლა ყველანი დაწყნარდნენ: ევროპაც, დიპლომატებიც და ოსმალეთიც. მაკედონიაში აჯანყების შიში აღარავისა აქვს. ყველამ კარგად უწყის, რომ ხალხი მიწასთან გასწორებულია და იმდენად დაუძლურებული, რომ თავის მაღლა აღება და უფლების მოთხოვნა აღარ შეუძლიან. ამავე დროს მაკედონიის მტარვალი და სულთამხუთავი ოსმალეთი მძლავრია, სულით აღფრთოვანებულია. იყო დრო, როდესაც კაცობრიობა წინააღმდეგი იყო უძლურთა დამონების და დაჩაგვრისა. იყო დრო, როდესაც ყველანი ძმობას, და თანასწორობას გაიძახოდნენ და მილიონობით თავსა სწირავდნენ ამ საკეთილო საქმეს; იყო დრო, როდესაც ყველანი, ვით ერთი კაცი, მონობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მაგრამ წავიდა, განქრა ის დიადი და სანეტარო დრო. ეხლა სულ სხვაა — პატიოსნებისა და სიყვარულის ადგილი დღეს ფულმა დაიჭირა. ყველა საქმეში პირველი ფულია, გამორჩენაა. ამ ახალის დროის ბატონმა სთქვა: საბერძნეთს — თესალია, ოსმალეთს — ფული. კრიტს თვითმართველობა, და ყოველივე ასე გადაწყდა; მაკედონიას კი არაფერი, იგი ევროპისთვის არ არსებობს. იქ ყველანი ჩუმად, წყნარად არიანო და როგორც აქამდის იყო, ისევე ისე დარჩესო. მაკედონია ხელ-ახლად ოსმალეთის ბრჭყალებშია, რადგანაც პოლიტიკა ამას მოითხოვს და, მაშასადამე, დიდთა და მძლავრთა კეთილ დღეობასაცა. თვით ჩვენ იმდენად უძლურნი ვართ, რომ ჩვენი უნუგეშო მდგომარეობის გასწორება არ შეგვიძლიან. ძალა და ღონე აღარ შეგვწევს ამისთვის. მაშ რა უნდა ვქნათ? დავიკრიბოთ გულს ხელი და ცრემლი ვღვაროთ? უპირველესს ყოვლისა ჩვენ მოთმინება გვმართებს და შემდეგ-კი ხალხის მომზადებას უნდა შევუდგეთ. ასე იქცევიან სერბიელნი, ბერძნები, რუმინელნი, ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენ. ხალხი ეროვნულ თვით-ცნობიერობამდე უნდა მივიყვანოთ, რომ ბრძოლიდგან გამარჯვებულნი გამოვიდეთ. ბრძოლა-კი ადრე თუ გვიან უეჭველად უნდა მოხდეს.

## დამაკვირდი

სახელოვანება და მშვიდობიანობა ძნელად დამეგობრდებიან.

ჰიპპოლისა

***

ორნი არიან უსარგებლონი სიცოცხლის დროს: კრიჟანგი და გასუქებული ზურგაკი.

საფლირის ლექსიკ.

***

მაძღარისა და მშიერის საუბარი არაფერს ემსგავსება.

შოტლანდური ანდაზა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ეხლახან ბერლინში კრება იყო გერმანიის ჯარა-ექიმების. ამ კრებაზედ თვისი შესანიშნავი მოხსენება წაიკითხა ფრანკფურტის ჯარა-ექიმმა პროფესორმა რენმა. ამ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ პროფესორს რენს გამოუკვლევია, რა შედეგი მოსდევს, გულს რომ ნემსი უჩხვლიტოს კაცმა. ყოველივე ეს ბ-ნს რენს ჯერ პირუტყვებზედ უცდია და დარწმუნებულა, რომ მცირედი მიკარება გულისათვის საშიში არა ყოფილა. ესევე სცადეს იტალიელმა მკურნალებმა და დარწმუნდნენ, რომ შესაძლებელია გულის ზოგიერთ ავადმყოფობის წამლობა ხირურგიის შემწეობით. სხვათა შორის ცნობილია, რომ ძლიერ საშიშია, როდესაც გულის აბგა სისხლით ივსება და ხელს უშლის გულის მოძრაობას. ამ შემთხვევაში ადამიანს სისხლს გამოუშვებენ ხოლმე. პროფესორი რენი ამტკიცებს, რომ ეს საშვალება კარგი არ არისო. ამავე პროფესორს სწორედ რომ სასწაული მოუხდენია და ისე მოურჩენია ერთი ავადმყოფი. ეს ავადმყოფი ჯარის-კაცი ყოფილა. რაღაც მიზეზისა გამო გულის ფრიალი ასჩემებია და სამსახურიდგან დაუთხოვნიათ. მკურნალებმა სთქვეს, რომ ამ კაცს გული აქვს დაშავებულიო. პროფესორმა რენმა გაუჭრა ავადმყოფს მკერდი და შემდეგ გულის აბგაც და ნახა, რომ გულს მარცხენა მხარეს პაწია ჭრილობა ჰქონდა, საიდგანაც სისხლი სწვეთავდა. პროფესორმა მოინდომა ამ ჭრილობის გაკერვა, თუმცა ასეთი საქმე არა თუ ძლიერ ძნელი, ბევრს შეუძლებელიც ეგონა. ყოველთვის, როცა პროფესორი გულში ნემსს გაუტარებდა ავადმყოფს, გულის ძგერა თითქოს მოისპობოდა ხოლმე; პროფესორმა მაინც მოახერხა და დიდის სიფრთხილით შეჰკერა გულის ჭრილობა. ავადმყოფი სრულებით განიკურნა და პროფესორმა კრებაზედ მოიყვანა სრულიად ჯანსაღი. გულის ფრიალმა სამუდამოდ გაუარა.

აი კიდევ მეორე საკვირველი მოხსენება, რომელიც იმავე კრებაზედ წაიკითხა იენის პროფესორმა რიდლმა.

ერთმა ახალგაზდა კაცმა ხუთჯერ დაიკრა რევოლვერი და ორი ტყვია გულში მოიხვედრა. პირველად დაჭრილს საშიში არაფერი ეტყობოდა, მაგრამ ათის დღის შემდეგ მკურნალებმა შეატყვეს, რომ ავადმყოფს ტყვიამ დაუშავა გული და მორჩენის იმედი აღარ იყო. მაშინ პროფესორმა რიდლმა ოპერაციას მიჰმართა. გაუჭრა ავადმყოფს მკერდი და ნახა, რომ გულის აბგა გაჭრილი იყო ტყვიით, ჭრილობას შემხმარი სისხლი გადაჰფარებოდა და თვით გულის აბგა დასიებული იყო. ასეთის ძნელის ოპერაციისათვის ჯერ ხელი არავის მოუკიდნია. პროფესორმა სთქვა: წარმოიდგინეთ ჩემი აღელვება ამ ოპერაციის დროს. ჩემი სურვილი იყო ისე გამეჭრა გულის აბგა, რომ თვით გულს არ მივკარებოდი; დანას რომ ვუტარებდი გულის აბგას, თვით გული თრთოდა და ფეთქავდა! ისეთი წუთებიც გამოვიარე, რომ მეთითონ არ ვიცოდი, გულის აბგასა ვჭრიდი მხოლოდ, თუ თვით გულამდე მიაღწია დანამ. უეცრად სისხლი გადმოსკდა შადრევანივით. ოპერატორს ყოველივე იმედი გადუწყდა ტყვიის ამოღებისა. ავადმყოფი მალე გარდაიცვალა. მკურნალებმა გასჭრეს და ტყვია გულის აბგაში იპოვნეს, იმ ადგილის სიახლოვეს, რომელსაც ოპერაციის დროს დანა ეკარებოდა.

---

მებს, გომეწრელებს, შევიყარნეთ და მაშინ, იმედია, დავუხვდებით ჩვეულებრივად.

— მტერი ახლოა, ზურაბო, სხვა თემის თუშები ვერ მოასწრებენ, უთხრა ფუნჩამ.

— იმათ მოსვლამდის ჩვენ ციხე კოშკებში შევეხიზნეთ და როგორმე გავმაგრდეთ.

— ხალხო, ის ვინ ეშვება მთა-მთა ისე გაჩქარებული, უცბად წამოიძახა ერთმა.

— მწყემსი იქნება.

— ჩვენკენ მოდის, ეტყობა საჩქარო საქმეა, რომ ისე გაჩქარებული მოდის.

— ლეკის ჯარი ხომ არ მოგვიახლოვდა?!..

„ლეკის“ გაგონებაზედ მთელი ხალხი შეირყა. ყოველი იქ მყოფი მოუთმენლად ელოდა უცნაურ კაცის მოსვლას. ლოდინმა ბევრს ხანს არ გასტანა. მთლად ოფლში გაწურული, ქშენით მოადგა მათ ჰელოეგლი მწყემსი.

— რა ამბავია, ბესო? მისცვივდა ხალხი.

— მოემზადენით: მტერი ახლოა.

— სად მოდის, რა ალაგას ჰკითხა ზურაბმა.

— ჩხატთან შესდგა და რაღაცაზედ ყაყანებდნენ.

— წავიდეთ, გზა შევუკრათ! დაიგრიალა ხალხმა. შერცხვეს ის ჩვენგანი, ვინც მტერს ზურგი უჩვენოს, დიაციმც იყოს, მანდილ ეხუროს!..

— მოითმინეთ, ხალხო, შეაჩერა ზურაბმა, ნუ სჩქარობთ. წინ დახვედრით არას მოვიგებთ, დიდი ჯარი იქნება.

— დიდი ჯარია, ზურაბ, თითქმის მთელი დაღესტანი მოდის, დაუმატა მწყემსმა.

— მაშ დახვედრით დავიღუპებით, სთქვა ზურაბმა, ეხლავ კაცები ვაფრინოთ წოვა-ჩაღმეთს შესატყობინებლად და ჩვენ კოშკებში გავმაგრდეთ.

— ეგრე ვქნათ, ეგრე, ზურაბო. მიქელი რომ წავიდეს, სჯობნის, მარჯვე და გულოვანი ვაჟია, სთქვა ფუნჩამ.

— თავის დღეში არ ვიქ მაგას, ფუნჩო. რას ამბობ, მე წავიდე და თქვენ აქ სისხლი ჰღვაროთ? რა ჩემი საქმეა იქ სიარული. ეგ თქვენ, გამოცდილ ჭაღარა კაცებს, გეკუთვნით ეგ საქმე თქვენ გააკეთეთ და ჩვენ ახალ-გაზდებს ხელის ქნევა მოგვანდეთ, თითქოს წყენით წამოიძახა მიქელმა.

— მართალია, ფუნჩო, მიქელი იქ ვერას გააწყობს. ეგ აქ უნდა დარჩეს და სხვებთან ერთად უნდა ეომოს მტერს, დაუმატა ზურაბმა.

— მაშ ვინ გავგზავნოთ?

— შენ უნდა წახვიდე, ფუნჩო, შენ უფრო გამოცდილი ხარ ამნაირ საქმეებში. ბევრი ამისთანა დრო გინახავს და, რასაკვირველია, გამოცდილობით აასრულებ შენ მოვალეობას. ეხლავე ცხენი დაიჭირე, თან გაიყოლიე ვინმე და პირ-და-პირ მოკლე გზით ჩაღმეთს გადადი.

— ცხენი ახლო მყავს და არც ვისმეს წავიყვან, მარტო წავალ.

— მაშ დაეჩქარე ფუნჩო. აუხსენი ჩვენი გაჭირვება და მტრის სიმრავლე დაგვეცათქო ჩვენი მიუძინებელი მტერი, ლეკები. ძმები ვართ, ძმურად უნდა დაუხვდეთ ერთად მტერს.

— სუყველაფერს ავასრულებ, მხოლოდ თქვენ ვინძლო გაუძლოთ ქომაგის მოსვლამდის და, იმედია, ჩქარა მოგეშველებით.

ამ სიტყვებთან ფუნჩო და ერთი სხვაც, რომელიც წოვათას უნდა წასულიყო, გაეშურნენ სოფლისაკენ შეკაზმეს ცხენები, აისხეს იარაღი და ფიცხლავ მიაჭენებდნენ ჩაღმაწოვათისაკენ. ხალხიც შევიდა სოფელში და შეეხიზნა კოშკებში. იარაღში ჩამსხდარი ვაჟები მიუსხდნენ სათოფურებს და სასიკვდილოდ მომზადებულნი ელოდებოდნენ მტერს.

სოფლის თავს ერთ ფერდობზედ იდგა ორ-სართულიანი კოშკი, რომელიც ზედ სოფელს დაჰყურებდა. ეს კოშკი იყო ზურაბისა. შევიდნენ მამა და შვილი კოშკში თუ არა, მიქელი მაშინვე მოემზადა საომრად. მოამზადა ბლომად ტყვია-წამალი, გასწმიდა თოფი, ჩახმახს კვესი გამოუცვალა, შემოირტყა წელზე ხმალი და მიუჯდა სათოფურეს. ამ დროს ზურაბი გულ-ნაღვლიანად, თითქო შურით, დაჰყურებდა თავისს შვილს. ვინ იცის რა ფიქრები უტრიალებდა თავში. იქნება აგონდებოდა თავისი წარსული სიჭაბუკე, დაკარგული მკლავის ძალა, ლაშქრობა და თავის ვაჟკაცობა. ბოლოს მოხუცმა ერთი მწარედ ამოიოხრა, გაიქნია ნაღვლიანათ თავი და თითქო ყვედრებით წაიბუტბუტა:

— ღმერთო, რა დროს მომასწარი მოხუცი!

— რა იყო, ზურაბო, რას დაღონდი? განცვიფრებით მიუბრუნდა შვილი.

— რას დავღონდი... განა არა მაქვს დასაღონებელი?!... რის მაქნისი ვარ, რას ესაჭიროება ჩემი მოხუცებული თავი ეხლა, როდესაც მტერი კარზედ მოგვდგომია. რა შემიძლიან: თოფის სროლა?—სად არის თვალ-მხედველობა, ხმლის მოქნევა?—სად არის მკლავის ძალა!— რას ამბობ, ზურაბო, ვინ რას დაგაყვედრის. ყველამ იცის შენი სამსახური თუშეთის წინაშე, შენ შენი მოვალეობა აასრულე და სხვას ვინ რას მოგთხოვს?!...

— გული მთხოვს, გული, და ასრულება-კი სხეულის სისუსტის გამო არ ძალ-მიძს. ცუდია სიბერე, უძლურება. ის, ვინც თავის სიცოცხლით არას არგებს სხვას, ნამეტნავად ასეთ გაჭირვების დროს, როდესაც მტერი უქადის მიწა-წყალის, რჯულის მიწასთან გასწორებას, მეტია ამ ქვეყანაზედ. მისი სიცოცხლე ამ დროს ტანჯვაა, ჯოჯოხეთი და სხვა არაფერი. რომ არ იყოს ცოცხალი, ისა სჯობია. ღმერთმა რად მიმიყვანა ამ მდგომარეობამდის...

მიქელს ვერა მოეხერხებინა-რა, რომ ცოტა დაემშვიდებინა მოხუცი გმირი. ბოლოს ზურაბმა ჩამოიღო თავისი ძველი ხირიმი, დასანჯღრევად დაჰკრა რამდენჯერმე კონდახს მუშტი, გასტენა და საომრად მომზადებული მიუჯდა მეორე სათოფურეს ამ სიტყვებით:

— მოდი, ჩემო ძველო მეგობარო, ერთი უკანასკნელი სამსახური კიდევ გამიწიე და ჩქარაც მოვშორდებით ერთმანერთს!..

(დასასრული იქნება)

## სასამართლოს მატიანე

თიანეთის მაზრის სოფ. სიმონიანთხევის ხარჯის-ამკრებმა ვასილ ფიჩხაურმა 1894 წელს შეაგროვა სოფლელებისაგან სკოლისათვის 21 თუმანი, ამ ფულიდგან 13 თუმანი გადასცა მამასახლისს, 8 თუმანი თითონ შეირჩინა და რომ ეს არავის შეეტყო, მამასახლისის მიერ ფულის მიღების ბარათში, სადაც ეწერა 13 თუმანი მივიღეო, სიტყვა ცამეტი თუმანი ამოფხიკა და ჩააწერა ოც-დაერთი თუმანი. ექსპერტებმა ეს დაამტკიცეს და ბარათის გადასწორების ბრალი დასდეს ვასილ ფიხჩაურს, რომელიც იმით ჰმართლულობდა თავს, 21 თუმანი სრულად გადავეცი მამასახლის და ეს ბარათი მომცაო, ამის მოწმეთ გლეხი ჯიბაშვილი დაასახელა. ჯიბაშვილმა ბრალდებულის სასარგებლოდ ვერაფერი სთქვა. ოლქის სასამართლომ ბრალდებული ფიჩხაური დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა პატიმართა როტაში გაგზავნა 1 წლისა და 4 თვის ვადით.

## შემოწირულება

ჩვენ მივიღეთ ბლალოჩინის დიმიტრი ტატიშვილისაგან ხუთი მან. თავ. რაფაელ ერისთავის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. ეს ფული გარდაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“.

## „ივერიის“ ფოსტა

**გ--ში. აკაკის შეგირდს:** თქვენი ლექსი „მე იგი მიყვარს“ არ დაიბეჭდება.

**რ—ჭას. ვ. ჭ—ს:** თქვენ მიერ გამოგზავნილი „ნაკვესები“ არ მოგვეწონა.

**ქ. გ—ი. გ. პ—ძეს:** არ დაიბეჭდება.

**პატივისმცემელს:** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**დ. ახ.-ს—კი. ტ. კ—შვილს:** რაც გ. წ—ლისა და მარგალისკუის შესახებ წერილები მოგვდის, სულ რომ დავბეჭდოთ, გაზეთი მაგას მოუნდებოდა. ჩვენის აზრით, საკმაოდა გვქონდა მაგ საგნის შესახებ ლაპარაკი და აღარა ჰღირს მაგის უკან გაყოლა. ამავე მიზეზით არ იბეჭდება თქვენი წერილიც იმავ გ. წ—ლის წინააღმდეგ.

**დ. ჭ—რა. ს. ი. თ—ას:** თქვენი „პატარა საუბარი“ არ დაიბეჭდება.

**დ. ოზ—თი. მოსეს,** უსახელო წერილებს, არამც თუ არა გბეჭდავთ, არც-კი ვკითხულობთ, რომ უბრალოდ დრო არ დაგვეკარგოს.

**ტ—სი. ცხრუკველელს:** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

**ა—შა. გ. მ. დ—ძეს:** მაგ „ხეჩაგოგისათვის“ თქვენვე გარდაგიხდევინებიათ სასჯელი და რაღა საგაზეთოა ეგ ამბავი.

**ს—ე. ვ. ს—ოვს:** მწყემსთა შორის ატეხილი უსიამოვნება სასულიერო მთავრობამ უნდა განიხილოს. მაგისთანა ამბების გაზეთში გამოცხადება სრულიად დაუკარგავს სასულიერო წოდებას ერის თვალში მნიშვნელობას და, ვგონებ, არც თქვენ უნდა იყვნეთ ამას მოწადინებულნი.

**ქ. ს—მი, პ. კ—ს.** გამგე თქვენა ხართ და თქვენვე ეცადეთ, რომ კარგად წარიმართოს მაგისი საქმე.

**ჯ. ჩ—ნს.** კმარა, ბ-ნო, მაგის შესახებ წერა. მაგ „მარგალისკუამ“ ჩვენც მოგვაბეზრა თავი და მკითხველებსაც.

**ქ. ბ—მი. ლ. ბ—ს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ქ. ს—ღი. ტ. თ—ძეს.** ვაჭრების სცენა არ დაიბეჭდება.

**ქ. ქ—სი. ა. ქ—ძეს.** თქვენს წერილს ვერ დავბეჭდავთ.

**სოფ. ეწ--ი. ვ. ნ—შვილს.** რა ხელთნაწერია ეგ 1867 წლის „მარგალიტისანი“, რა შინაარსისაა, დედანია თუ თარგმანი?

**ქ. ქ—სი. ე. გ.** უსახელო წერილებს არა ვბეჭდავთ.

**მღ. ნ. ბაკურაძეს.** თქვენ მიერ გამოგზავნილს არაკს „კრებულს“ გადავცემთ.

**ჭიათურელს.** გუბერნატორთან უჩივლეთ მაგ ბოქაულს და ის დასდებს მაგის საქციელს თავისს მსჯავრს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 ივნისი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი. მისს იმპერატორებით უდიდებულესობას ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულს, რამდენიც ხანი გადის, იმდენი უკეთესობა ეტყობა და იმედია მალე სრულიად კარგად შეიქმნება. დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოოზის ასულიც კარგად იმყოფება.

**კოვნა.** როშკოვსკის საქმის გარჩევა, რომელსაც აზნაურის ბრჟეზიცეის მოკვლა ჰბრალდებოდა, 6 ივნისს დასრულდა. როშკოვსკის თვისი მსხვერპლი ჩაქუჩის ცემით მოუკლავსდ დიდხანს თურმე სარდაფში ჰმალავდა მოკლულის გვამს. ნაფიცმა ვექილებმა უარჰყვეს, ვითომ მომკვლელს გაძარცვა ჰქონოდეს განზრახული. როშკოვსკის 13 წლით კატორღა გადაუწყვიტეს.

**კონსტანტინეპოლი.** 6 ივნისისათვის დანიშნული ბჭობა საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის მორიგების პირობების შესახებ შაბათისათვის იქმნა გადადებული.

**პარიზი.** ქალაქის ლაბორატორიის დირექტორს თანხმობის მოედანზედ ნაპოვნ იარაღის შესახებ თავისი მოხსენება ჯერ კიდევ არ გაუთავებია. ჰფიქრობენ, ეს იარაღი იმას უნდა ჰგავდეს, რომელიც ბულონის ტყეში ააფეთქესო. დღემდის მომხდარს გამოძიებას ჯერ არაფერი არ აღმოუჩენია.

**პარიზი.** ამოვარდნილმა საშინელმა კუდიანმა ქარმა პარიზის დასავლეთით მთელი მხარე მთლად მოაოხრა. დაზიანდა შემდეგი სოფლები: ბეზონი, კოლომბი, ნანტერი, რიუედი, შატუ, სენ-დენი და ანიერი; ანიერი ყველაზედ მეტად დაზარალდა; ქარმა სამი კაცი მოჰკლა და მრავალი დააზიანა. ყველგან, სადაც-კი ქარმა დაჰკრა, ძირიანად დაჰგლიჯა ხეები, მრავალი სახლი დაანგრია, ეტლები გადააბრუნა და ტელეფონისა და ტელეგრაფის მავთული დაწყვიტა.

**ლონდონი.** უელის პრინცმა ფინლიანდიის არქიეპისკოპოსი ანტონი მიიღო სადარბაზოდ.

8 ივნისი

**პეტერგოფი.** 8 ივნისს. პეტერგოფის დიდის სასახლის ეკკლესიაში პროტოპრესვიტერის იანიშევის მიერ მონათლულ იქმნა დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოოზის ასული. ნათლობას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავრინანი და მთავარნი პრინცი იოანნე შლეზვიგ-ჰოლდშტეინზონდერსბურგ - გლიუკსბურგელი, პრინცი და პრინცესა ოლდენბურგისა, პრინცი ალბერტ საქსენ-ალტენ-ბურგელი, მიტროპოლიტი პალლადი, წევრნი უწმიდესის სინოდისა და მინისტრნი.

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ იქმნენ სახელმწიფო საბჭოს წევრებად: იტალიის მეფესთან მყოფი ელჩი ვლონგალი და შინაგან საქმეთა სამინისტროს სასტატისტიკო საბჭოს თავმჯდომარე სემიონოვი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: რადგანაც გაზეთმა „Сибирь“-მა მავნებელი მიმართულება გამოიჩინა, ამ გაზეთს პირველად გამოეცხადოს გაფრთხილება.

**კელნი.** იმპერატორისა და იმპერატრიცას თანადასწრებით აკურთხეს ძეგლი იმპერატორის ვილჰელმ პირველისა.

**რომი.** ამბავი მოვიდა, რომ ვერდი ძლიერ ავად არისო.

**კონსტანტინეპოლი.** ამ ბოლო დღეებში მრავალი სოფთი და მაჰმადიანი დაატუსაღეს. ამბობენ, ამ დატუსაღებას კავშირი აქვს იმ ლაპარაკთან, რომელიც გაისმის თესალიის შემოერთების გამო.

**ბერლინი.** რუსეთის სამხედრო აგენტმა ენგალიჩევმა გადასცა ალექსანდრე მესამის სახელის რაზმს ხელმწიფე იპერატორის სურათი. ამის შემდეგ გაისმა „ურას“ ძახილი და რუსეთის ჰიმნი.

**პარიჟი.** გუშინდელმა ქარიშხალმა ასამდე კაცი დააზიანა, ამათში 4 გარდაიცვალა. ზარალი დიდია. ბაღები განადგურებულია.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს ჰანოტომ შეატყობინა, რომ ჟერარმა ხელი მოაწერა პეკინში ხელშეკრულობას, რომლის ძალითაც საფრანგეთს მიენიჭება ახალი სავაჭრო და საპოლიტიკო უპირატესობანი ტონკინის მახლობელ ადგილებში.

**ვენა.** ის ამბავი, ვითომ ელჩებს ჯერ ინსტრუქციები არ მისვლიათ და ამის გამო მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება გვიანდებაო, ტყუილი გამოდგა.

ამ დაგვიანების ბრალი თვით ოსმალეთის რწმუნებულთ ედებათ; თევთიქ-ფაშა იძულებულია შესახებ თითოეულის გარდაწყვეტილებისა ილდიზ-კიოსკიდგან ელოდდოს ხოლმე გარდაწყვეტილებას.

**სიმლა.** ასე ამბობენ, რომ ასსამში მიწის ძვრისაგან დაღუპულა 6,000 კაცზედ მეტი.

**კელნი.** კელნის გაზეთები ამოწმებენ იმ ხმების სიმართლეს, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად დანიშნულ იქმნება შვეიცარიის პრეზიდენტად ნამყოფი ნუმა დროზი. დროზი დაბრუნდა პარიჟიდგან ბერნში და განაცხადა, რომ მარტო დროებით დავთანხმდები ამ თანამდებობის მიღებაზედ, ვიდრე კრიტის კუნძულზედ სხვა ახალი მმართველობა დაარსდებაო.

**კონსტანტინეპოლი.** 7 ივნისს ელჩები შეიკრიბნენ. ეს მეექვსე კრება ოსმალეთსა და საბერძნეთის შორის ზავის შესახებ. მოლაპარაკება უწინდელივით კეთილ-საიმედოა.

ჯედდაში ყოველ დღე ორთა-შუა რიცხვით სამი კაცი ხდება ავად შავის ჭირით. 25 მაისიდგან 35 კაცი გამხდარა ავად.

9 ივნისი.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის სახელობაზედაა დაწერილი. რესკრიპტში უმოწყალესი მადლობა ეძლევის როგორც მინისტრს, აგრეთვე ყველა იმათ, რომელთაც პირველს სახალხო აღწერაში მონაწილეობა მიიღეს.

**ლონდონი.** წმ. პავლეს ტაძარში შესრულებულს ღვთის მსახურებას დაესწრნენ: პრინცი და პრინცესსა უელისა, ჰერცოგი და ჰერცოგინა იორკისა, დანიის პრინცი კარლო!ი მეუღლითურთ, ჰერცოგი კემბრიჯისა, ჰერცოგი და ჰერცოგინა კობურგისა და სხვანი უავგუსტოესნი გვამნი. ამათ შორის იყვნენ დიდი მთავარი კირილე ვლადიმერის ძე, დიპლომატიური კორპუსი, ლორდთა პალატის წევრნი, ფინლიანდიის არქიეპისკოპოსი ანტონი, რომელსაც თან დეკანი ახლდა და გენერალი კირეევი. ყველა დამსწრეთა ყურადღებას არქიეპისკოპოსი ანტონი იზიდავდა. ტაძარში იყო, სხვათა შორის, ჩინეთის ელჩიც.

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებ იმათ, რომლებმაც ინებეს და განზრახულ ტირძნისის სახალხო წიგნთ-საცავს შემოსწირეს წიგნები. აი სია შემომწირველთა და შემოწირულებისა: ელენე გიორგის ასულმა წერეთელმა—„ვილჰელმ ტელი“, „გვირგვინი“, „ოქროს მოყვარულები“, „დრო გამოიცვალა“, „სტეფენსონი“. „მეფე მალიასი“, „ასული ლევან მეფისა“. „სამშობლოსათვის თავდადება“, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „რუხის ბრძოლა“, „ზვიმა“, „ქინაქინის ამბავი“, „სამი არაკი“, „ხუთი ამბავი ან. წერეთლისა“, „ცხოვრება წმ. ფილარეტისა“, „ანუკა ბატონიშვილი“, „როგორა სცხოვრობენ ჩინელები“, „მაჰმადი და მისი რჯული“, „წიგნების ქება“, „სოლომონ დოდაშვილი“, „ნობათი“, ერთი წიგნი 1884 წლ., „ჯეჯილი“ ერთი ნომერი 1892 წ., „ფუტკრის გონიერი მოვლა-მოშენება“.

არსენ ქუთათელაძემ.—„წამება მიქელ გობრონისა“, „შუშანიკიანი“, „ქართული ანბანი“, ი. როსტომაშვილის შედგენილი. „საბოსტნე მცენარეების თესვა-მოყვანა და მოხმარება“, „ქართველები სპარსეთში“, „მზით უნახავი“, „დედა-მიწის მოყვანილობა“, „ელექტრონი და საოცარი მანქანები“, „განკიცხული“, ა. ყაზბეგისა. იგავ-არაკნი რ. ერისთავისა, „ცხოვრება მეფე გიორგი მე-XIII“, „მთა წმინდის ეკკლესია“, და წმ. მამა დავითის ცხოვრება“, „ციცინათელა“, „ნინო“, რ. ერისთავისა. „აღზრდა შვილისა“ ე. ბემესი. „მოკლე დარიგება აბრეშუმის ჭიის წესიერს აღზრდაზედ“, „ფუტკრის გონიერი მოვლა მოშენება“, „შინაურის საქონლისათვის საკვები ბალახის თესვა-მოყვანა“, „გმირი როლანდი“, „მცხეთის ტაძარი“, „გაენათის მონასტერი“ და ორი წლის ჟურნ. „მეურნე“ ყდებით.

პეტრე სურგულაძემ—მეII და IV ტტ. ალ. ყაზბეგის თხზულებისა ყდებით, „ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა“ და „საბერძნეთის ბრძენი დიოგენი“.

პეტრე ალბორაშვილმა—„ბრძოლა“ ანტ. ფურცელაძისა.

ტირძნისის მასწავლებელი
ივ. გომელაური



# განცხადებანი

## „ივერია“

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | | м. | к. | | | м. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით და 13 დღით — | 9 | 60 | 6 | „ — — — — | 6 | „ |
| 11 | „ — — — — | 9 | 50 | 5 | „ — — — | 5 | 50 |
| 10 | „ — — — — | 8 | 75 | 4 | „ — — — | 4 | 75 |
| 9 | „ — — — — | 8 | „ | 3 | „ — — — — | 3 | 50 |
| 8 | „ — — — — | 7 | 25 | 2 | „ — — — — | 2 | 75 |
| 7 | „ — — — — | 6 | 50 | 1 | „ — — — — | 1 | 50 |

აზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Редакція „Иверія“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 ® „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სამე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ განსვენებულის მეირფასის ჩვენის მამის, პირველის გილდის ვაჭარის თეოფანე ნიკოლოოზის ძის ავგერინოს სახსოვრად კვლავ განვაგრძობთ ვაჭრობას ქალაქ ფოთში ასეთის ფირმით.

### „თეოფანის ნიკოლოოზის ძე ავგერინოს“

ფირმას განაგებს ამხანაგობა და მისს უფროსად ითვლება ნიკოლოოზ თეოფანეს ძე ავგერინო, ხოლო ფირმის წარმომადგენლებად ვითვლებით ორთავენი, აგრეთვე ყოველსავე საკომერციო ქაღალდებს ხელს ორთავენი მოვაწერთ.

იმედი გვაქვს, რომ არ მოგვაკლებთ იმ ყურადღებას, რომელიც დამსახურებული ჰქონდა განსვენებულს ჩვენს მამას.

ნიკოლოოზ ავგერინოს ეპამინონდას ავგერინოს

(3—6—1)



Дозволено цензурою, Тифлисъ 9 го Юнія 1897 г.

სტამბა ჭ. ძარამისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.